თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 18.03.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; თენგიზ მთვარელიშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:; დეპუტატი - **დავით ღაღანიძე; ლევან ბერძენაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დავით ქსოვრელიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავი. ქ. წამებულის ქ. N7 ამხანაგობის თავმჯდომარე სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვის შესახებ

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

   თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე;

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

   თანამომხსენებელი - დ. ქსოვრელიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. ქ. თელავი. ქ. წამებულის ქ. N7 -ს ამხანაგობის თავმჯდომარე სვეტა ნინიკელაშვილის განცხადების განხილვის შესახებ

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სვეტა ნინიკელაშვილის განცხადება თანდართული პროექტით „ქალები ქალაქის განვითარებისთვის", რომელიც ეხება ქალაქ თელავში ამხანაგობების გაერთიანების გაძლიერებას.

კომისიის წევრებმა, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელა და გამოარკვია, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში ზემოთხსენებული პროგრამის დაფინანსების მიზნით, შესაბამისი თანხა გათვალისწინებული არ არის. ამასთან ერთად, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის პრეროგატივაა და საკითხზე დამატებითი ინიცირება უნდა განხორციელდეს მათ. მიერ.

აქედან გამომდინარე კომისიის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს პროექტის დაფინანსებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ განმცხადებელს გაეგზავნოს პასუხი წარმოდგენილი ფორმულირებით.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა საკითხთან დაკავშირებით (დანართი - სამი ფურცელი) და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნათია ვაყელიშვილს.**

მან ამომწურავად ისაუბრა დეპუტატების მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე. მათი კითხვები ძირითადად ეხებოდა ასათვისებელ ნაშთსა და ხარჯვით ნაწილს.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხზე, როგორიცაა საბიუჯეტო კოდექსის 87 მუხლი. რომლის თანახმად ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავდეს განმარტებებს. ასევე დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება თუ არა. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თანახმად გასულ წლებთან შედარებით ეს ტენდენცია გამოსწორებულია და პროგრამების შესრულების 30%-ზე დაბალი მაჩვენებელი მაქსიმალურად შემცირებულია.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მომზადდა შესაბამისი შეფასება (დანართი - ორი ფურცელი) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს: 3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან **სოფ**ლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: ზ. ლილუაშვილმა კომისიის წევრებთან ერთად, სოფლების მიხედვით განიხილეს თითოეული პროექტი. ზოგადად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით. ასევე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, მიმდინარე წელს გაიზარდა დასაფინანსებელი პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება. კერძოდ. გასულ წლებში თანადაფინანსება თუ იყო 50%, წელს შეადგენს 100%-ს. რაც დადებითად აისახება სამუშაოების მოცულობაზე.

კომისიის წევრებს პროექტის ირგვლივ ინფორმაციული კითხვები ქონდათ. რაზეც თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **დავით ქსოვრელიშვილმა** ამომწურავად უპასუხა.

გადაწყვიტეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტი, წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს:4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ. ლილუაშვილმა კომისიის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებთან ერთად საკითხების მიხედვით განიხილა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმას.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2020 წლის 28 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 23275,6 ათ. ლარით. 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით - წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის ასახვით. ასევე ჭარბი შემოსავლების გაზრდით შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვით დაზუსტდა თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი და განისაზღვრა 41794,29 ათ. ლარის ოდენობით.

შემოსავლების გეგმა 2011 წელს დაგეგმილი იყო 28501,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 31666,18 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 111,11% -ით.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 62%-ს შეადგენს. იგი შედგება შემოსავლის 2 წყაროსგან ქონების და დღგ-ს განაწილებიდან მისაღებ შემოსავლებად.

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 21828,49 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 109,75%-ით.

- დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 15790,0 ათ. ლარი. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 16261,69 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 103.0%-ით.
- ქონების გადასახადიდან 2021 წლის განმავლობაში შემოვიდა 5566,80 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 4100,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 135,78%-ით.
- გრანტების სახით მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 17%-ს შეადგენს. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 106,44%-ით. დაგეგმილი იყო 5750,24 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა 6120,48 ათ. ლარი.
- სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 11%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 2860,77 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 3717,22 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 129,94%-ით.

აქედან დიდი გადაჭარბებით 128,07%-ით შესრულდა პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი. მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავლებმა 184,7% შეადგინა. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის -132,54%.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია დაგეგმილი იყო 286,2 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 398,70 ათ. ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 123,58%-ით. დაგეგმილი იყო 1224,5 ათ. ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1513,44 ათ. ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 172,09 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 150,05 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 114,69%-ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების (ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები) მთლიანი შემოსავლების 10%-ს შეადგენს. გეგმა

შესრულდა 87,71%-ით. დაგეგმილი იყო 4000.0 ათ. ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3508,35 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა 2021 წლის განმავლობაში შესრულდა 108,23%-ით. დაგეგმილი იყო 32501,0 ათ. ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავალმა ლი შეადგინა 35174,54 ათ. ლარი.

ნაშთის ცვლილების შესახებ - 2021 წლის 01 იანვრისთვის.2020 წლის განმავლობაში გაწეული საკასო ხარჯების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 3553,02 ათ. ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები - 3286,8 ათ. ლარი. ჭარბი შემოსავლები - 445,23 ათ. ლარი. თავისუფალი ნაშთი გადასახდელებიდან - 2796,82 ათ. ლარი. 2022 წლის 01 იანვრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან და მიზნობრივი ტრანსფერებიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 3872,0 ათ. ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები 3276,8 ათ. ლარი. ჭარბი შემოსავლები - 2303,29 ათ. ლარი, თავისუფალი ნაშთი გადასახდელებიდან - 3660,36 ათ. ლარი. ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 3030,65 ათ. ლარი.

2021 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის დაფინანსების გათვალისწინებით, დაიხარჯა 376,06 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 99,27%-ით. თელავის მუნიციპალიტეტში „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში გადმოცემული ქონების შესახებ და „საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის“ ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად.

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გადასახადი - გეგმა შესრულდა 87,7% -ით.

თავდაცვის დაფინანსება - გეგმა შესრულდა 91,68%-ით.

ეკონომიკური საქმიანობა - გეგმა შესრულდა 71,65%-ით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 80,60%-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - გეგმა შესრულდა 79,77%-ით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა - 80.60%-ით.

საბინაო კ9ომუნალური მეურნეობა - გეგმა შესრულდა 79,77%-ით.

ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება - გეგმა შესრულდა 46,58%-ით.

დასვენების, კულტურის და რელიგიის სფერო - გეგმა შესრულდა 76,41%-ით.

განათლების სფერო - გეგმა შესრულდა 80.14%-ით.

სოც. დაცვა - გეგმა შესრულდა 62,62%-ით.

გადასახდელების გეგმა 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 41794,29 ათ. ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 32143,89 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 76,91%-ით.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება. წლის განმავლობაში ბიუჯეტით ამ მიმართულებით 32143,89 ათ. ლარი დაიხარჯა.

1. ინფრასტრუქტურის განვითარება - 14117,72 ათ. ლარი;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1270,66 ათ. ლარი;
3. განათლება - 6079,77 ათ. ლარი;
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3808,22 ათ. ლარი.
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2559,79 ათ. ლარი;
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4307,73 ათ. ლარი.

2021 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 96,136 ათ. ლარი.

1. 70,934 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში და ქვ. ხოდაშენში მომხდარი ხანძრების შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლების ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოებისათვის.
2. 1,064 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში და ქვ. ხოდაშენში მომხდარი ხანძრების შედეგად დამწვარი სამი საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოს საზედამხედველო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
3. 21,138 ათ. ლარი - გზების მოხრეშვის სამუშაოებისათვის.

შეფასება
თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2022 წლის 18 მარტს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა, „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში".

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის წლიური გეგმა შემოსულობების მიხედვით 108,23%-ით შესრულდა (გეგმა-32501,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება - 35174,54 ათ. ლარი). ხოლო გადასახდელების კუთხით შესრულებამ 76,91% შეადგინა (გეგმა - 41794,29 ათ. ლარი. საკასო შესრულება - 32143,89 ათ. ლარი).

ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კუთხით შესრულების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით თითქმის თანაბარი მაჩვენებელია და არსებითად განსხვავებული ზრდის ტენდენცია არ იკვეთება (2020 წლის შემოსულობების შესრულება - 100,48%, გადასახდელების შესრულება - 79.03%) რაც ისევ და ისევ გამოწვეული იყო მსოფლიო პანდემიით და სხვა ობიექტური გარემოებებით.

რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, 2021 წელს მიღებული შემოსულობების დიდი ნაწილი მოდის შემოსავლებზე (31606,18 ათ. ლარი), ხოლო არაფინანსური აქტივების კლებამ 3508.36 ათ. ლარი შეადგინა.

2021 წლის თელავის მუნიციპალიტეტის შემოსავლების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა დამატებული ღირებულების გადასახადი (16261,69 ათ. ლარი), ქონების გადასახადი (5566,80 ათ. ლარი), გრანტებიდან შემოსავალი (6120,48 ათ. ლარი). გასული წლის ბიუჯეტის შევსების დიდი წილი მოდიოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე (13041,18 ათ. ლარი) და გრანტებზე (16185,82 ათ. ლარი).

რაც შეეხება ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით დიდი წილი მოდის სუფსიდიების მუხლზე (9187,36 ათ. ლარი), საქონელი და მომსახურების მუხლზე (5347,48 ათ. ლარი), შრომის ანაზღაურების მუხლზე (2699,15 ათ. ლარი), სოც უზრუნველყოფის მუხლზე (1601,20 ათ. ლარი) და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლზე (10644,14 ათ. ლარი). გასულ წელთან შედარებით თითქმის ყველა მუხლში არის ზრდა.

ბიუჯეტში მობილიზებული თანხები, გასული წლის მსგავსად, გადანაწილებულია თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით პროგრამებსა და ქვეპროგრამებში. სადაც ყველაზე დიდი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - 14117,72 ათ. ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის განვითარება - 3808,22 ათ. ლარი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2559,79 ათ. ლარი, დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1270,66 ათ. ლარი.

2022 წლის ბიუჯეტში სრულად არის გაწერილი ნაშთის თანხა, თელავის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ დარგებზე.

საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის თანახმად, 2021 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში, გასულ წლებთან შედარებით, მოიცავს განმარტებას პროგრამების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, პროგრამების შესრულების 30%-ზე დაბალი მაჩვენებელი მაქსიმალურად შემცირებულია.

ამდენად, თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად.